შ.პ.ს “ქალაქპროექტი“

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.02.003.400) დაპროექტებული საგამოფენო დარბაზის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

დირექტორი: მანუჩარ მახათაძე

ექსპერტი: ირაკლი კვარაცხელია

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 0

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა (ს/კ: 01.13.02.003.400)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: საგამოფენო დარბაზი

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: შ.პ.ს. „ურბანიკა“/ ირაკლი მურღულია

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

6) მისაწვდომობის შეფასებას;

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

ასევე საექსპერტო დასკვნა მოიცავს:

12) ლიფტის შეფასებას;

13) ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
2. შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
3. სიტუაციურ სქემას
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას –1:500 მ
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა)
7. შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
8. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს)
11. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა:მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა სრულად იძლევა ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

1. **დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

- **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -3.70 ნიშნულზე);
  აღნიშნული შეესაბამება 311.3 ქვეთავს.

- **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (სახანძრო ავზების და ტუმბოს ოთახი -3.70 ნიშნულზე; დამხმარე სათავსოები ±0.00, +3.60 და +7.20 ნიშნულებზე);
  აღნიშნული შეესაბამება 312.1 ქვეთავს.

- **საქმიანი ჯგუფი სქ** (დაცვის ოთახი ±0.00 ნიშნულზე; საოფისე ფართობები +7.20 ნიშნულზე);
  აღნიშნული შეესაბამება 303.1.2 და 303.3 ქვეთავებს.

- **თავშეყრის ჯგუფი თვ-3** (საგამოფენო დარბაზები ±0.00 და +3.60 ნიშნულებზე).
  აღნიშნული შეესაბამება 303.4 ქვეთავს.

საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის სწორედ არის განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვები ანუ 1004.1.2 ცხრილის მიხედვით არჩეულია სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობები გაყოფილია, ზემოხსენებული ცხრილის შესაბამის, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებზე, კერძოდ:

- შემოზღუდული ავტოსადგომისთვის (**სწ-2**) მიკუთვნებულია ავტოსადგომი გარაჟის სტატუსი და შემდგომ ამ სივრცის ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;

- სახანძრო ავზების და ტუმბოს ოთახისთვის (**დს**), აგრეთვე, დამხმარე სათავსოებისთვის (**დს**) მიკუთვნებულია დამხმარე სათავსების და მექანიკური მოწყობილობების ოთახის სტატუსი და შემდგომ თითოეული ამ ოთახის/სივრცის ფართობი გაყოფილია 27,9-ზე;

- დაცვის ოთახისთვის (**სქ**) და საოფისე ფართობებისთვის (**სქ**) მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) სივრცის სტატუსი და შემდგომ თითოეული ამ სივრცის ფართობი გაყოფილია 9,3-ზე;

- საგამოფენო დარბაზებისთვის (**თვ-3**) მიკუთვნებულია საგამოფენო გალერეების და მუზეუმების სტატუსი და შემდგომ თითოეული დარბაზის ფართობი გაყოფილია 2,7-ზე;

შენიშვნა: დაკავებულობები დამრგვალებულია მთელის სიზუსტით.

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციულ ტიპად განსაზღვრულია **I-B** ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში).

შენიშვნა: კონსტუქციული(სტრუქტურული) პროექტის დამუშავებისას დაცულ უნდა იქნას პროექტში მითითებული ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის 721-ე ქვეთავის მიხედვით.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- დაკავებულობების და კონსტრუქციული ტიპის (**I-B**) გათვალისწინებით საპროექტო შენობის სიმაღლე (შესაბამისად სართულიანობა) და ფართობი აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 11.95 მ, ხოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 7.25 მ-ზე ანუ 23 მ-ზე დაბლა, რაც იმას ნიშნავს, რომ საპროექტო შენობა, „წესების“ მიხედვით, არ არის მაღლივი.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.</u>

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

- დაკავებულობების, დაკავებულობის დატვირთვების და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილების გათვალისწინებით, შენობის ყველა სართულს, 1021.2(2) ცხრილის თანახმად, ესაჭიროება მინიმუმ ორი გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია. განვიხილოთ გასასვლელი საშუალებები სართულების მიხედვით:

- -3.70 ნიშნულზე მდებარე სართულის ერთ-ერთ გასასვლელ საშუალებას წარმოადგენს „3-2“ ღერძებს შორის მდებარე ღია მალი, საიდანაც ამ სართულის დამკავებლები ეზოს დონეზე ხვდებიან 10%-იანი ქანობის მქონე ღია პანდუსით. პანდუსი არის როგორც სამანქანო, ასევე საფეხმავლო (საფეხმავლო ზოლი გამოყოფილია). პანდუსის ქანობი აკმაყოფილებს 1010.3 ქვეთავის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი პანდუსების ქანობი არ უნდა აღემატებოდეს 12,5%-ს (არაუმეტეს 8%-იანი ქანობი დასაშვებია

მხოლოდ შშმ პირთა პანდუსებისთვის). რაც შეეხება მეორე გასასვლელ საშუალებას, ეს გახლავთ „7-6“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც ±0.00 ნიშნულზე (შენობიდან გამოსასვლელის დონეზე) ფოიეს გავლით მიემართება შენობის გარეთ. გზა-კიბიდან გასვლა შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მდებარე ფართობების გავლით დასაშვებია, რადგან დაცულია 1027.1 ქვეთავის N1 გამონაკლისის ყველა მოთხოვნა. ზემოხსენებულ ორ გასასვლელთან მისადგომები მოწყობილია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნათა შესაბამისად ანუ ისინი ერთმანეთისგან, 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად (შენობაში ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით), დაშორებულია სართულის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთმესამედზე;

- ±0.00 ნიშნულზე მდებარე სართულის გასასვლელ საშუალებებს წარმოადგენს „A“ ღერძზე („5-6“ მონაკვეთზე) მდებარე გზა-კარი და „E“ ღერძთან („6-5“ მონაკვეთზე) მდებარე გზა-კარი, რომლებიც პირდაპირ მიემართება შენობის გარეთ. ამის გარდა, თითოეულ საგამოფენო დარბაზს გააჩნია ორი დამოუკიდებელი გასასვლელი გზა-კარების სახით, რომლებიც ასევე პირდაპირ შენობის გარეთ გადის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ±0.00 ნიშნულზე მდებარე სართულს გააჩნია 6 გასასვლელი. გზა-კარებს შორის მანძილი აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- რაც შეეხება +3.60 და +7.20 ნიშნულებზე მდებარე სართულებს, მათ გასასვლელ საშუალებებს წარმოადგენს „7-6“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე და „5-6“ ღერძებს შორის მდებარე გარე გასასვლელის გზა-კიბე. გარე გზასასვლელის გზა-კიბე, შენობის გარეთ მდებარეობს და ბუნებრივია მიემართება პირდაპირ შენობის გარეთ, ხოლო შიგა გასასვლელის გზა-კიბე, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ±0.00 ნიშნულზე (შენობიდან გამოსასვლელის დონეზე) ფოიეს გავლით მიემართება შენობის გარეთ, რაც დასაშვებია, რადგან დაცულია 1027.1 ქვეთავის N1 გამონაკლისის მოთხოვნები. გასასვლელებთან (გზა-კიბეებთან) მისადგომი გზა-კარები მოწყობილია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით, ანუ ისინი ერთმანეთისგან, 1015.2.1 ქვეთავის №2

გამონაკლისის თანახმად (შენობაში ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით), დაშორებულია სართულის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთმესამედზე;

- ვინაიდან შენობა არ არის მაღლივი, შიგა გასასვლელის გზა-კიბე არ არის აუცილებელი, რომ იყოს დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცე, საკმარისია 1022.2 ქვეთავის თანახმად, დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდული იყოს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით, რაც პროექტით გათვალისწინებულია. გზა-კიბესთან მისადგომი ღიობები, 716.5 ცხრილის თანახმად, დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით. რაც შეეხება გარე კედლებს, მათი ცეცხლმედეგობის ხარისხი რეგულირდება 602 ცხრილის მიხედვით და ამ შემთხვევაში მოთხოვნილი არ არის (ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე), თუმცა შიგა გასასვლელის გზა-კიბის გარე კედლები არის ბეტონის ბლოკის, რომლებსაც 721.1(2) ცხრილის მიხედვით, გააჩნია საკმაოდ დიდი ცეცხლმედეგობის ხარისხი (იხ. პირობითი აღნიშვნები). შიგა გასასვლელის გზა-კიბე ნიავდება ბუნებრივად. ზემოხსენებულ გზა-კიბეს მიწისქვეშა სართულზე გააჩნია დაწნევადი ვესტიბიული, რომელიც შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით, ხოლო ამ ზღუდეებში მდებარე ღიობები, დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით. რაც შეეხება გარე გასასვლელის გზა-კიბეს, ის ასევე შესაბამისობაშია „წესებთან“ და აკმაყოფილებს 1026-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. ვინაიდან ეს გზა-კიბე აკავშირებს მხოლოდ სამ სართულს, 1026.6 და 1022.2 ქვეთავების შესაბამისად, ის შიგა სივრცისაგან უნდა გაიმიჯნოს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით, რაც პროექტით გათვალისწინებულია (შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაცილებით მეტია), ხოლო გზა-კიბესთან მისადგომი ღიობები დაცულია 60 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

შენიშვნა №1: ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.1 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი NFPA 252-ის ან UL 10 C-ს

შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №2: გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარები 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

შენიშვნა№3: დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გზა-კეზე და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- ყველგან სადაც ეს აუცილებელია, გზა-კიბეებს აკავშირებს გასასვლელთან მისადგომი დერეფნები, რომლებიც მოწყობილია 1018 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. დერეფნებში მოწყობილია საჰაერო შახტები, რომლებიც შესაბამის მოწყობილობებთან ერთად უზრუნველყოფს კვამლის მექანიკურ გაწოვას (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

შენიშვნა : დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს დერეფნები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- შენობიდან გამოსვლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხდება ±0.00 ნიშნულზე, რის შემდგომ საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად, საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით;

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- შიგა გასასვლელის გზა-კიბის თავისუფალი სიგანე არის 1.57 მ, ხოლო გარე გასასვლელის გზა-კიბის - 1.10 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე, სავალი ზედაპირის ღია მხარეს, მოწყობილია მოაჯირები 1013-ე ქვეთავის შესაბამისად. სახელურები მოწყობილია კიბის ორივე მხარეს, 1012-ე ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;

- მიწისქვეშა სართულის ეზოს დონესთან დამაკავშირებელი, საფეხმავლო პანდუსის სიგანე სახელურებს შორის არის 90 სმ-ზე მეტი, რაც აკმაყოფილებს 1010.6.1, 1018.2 ცხრილის მოთხოვნებს, რადგან მიწისქვეშა სართულის დაკავებულობის დატვირთვა 50-ზე ნაკლებია. პანდუსის ქანობი - 12,5%-ზე ნაკლებია, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკმაყოფილებს 1010.3 ქვეთავის მოთხოვნებს;

- დერეფნები მოწყობილია 1018-ე ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის სიგანე არსად არის 1.80 მ-ზე ნაკლები, რაც იმას ნიშნავს, რომ დერეფნების სიგანე შესაბამისობაშია 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნებთან. რამდენიმე კარი იღება დერეფნის მიმართულებით და გაღებულ პოზიციაში იჭრება დერეფნის სივრცეში, თუმცა დერეფნის აუცილებელ სიგანეს არ ამცირებს ნახევარზე მეტად, რაც აკმაყოფილებს 1005.7.1 ქვეთავის მოთხოვნებს. დერეფნის აუცილებელი სიგანე გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

X= ს.დ.დ x დ.გ.ფ=(170+153)x0,0051=1,65მ

X - დერეფნის მინიმალური სიგანე

ს.დ.დ - სართულის დაკავებულობის დატვირთვა

დ.გ.ფ - დერეფნის გამტარუნარიანობის ფაქტორი (5,1მმ ანუ 0,0051მ)

- სქ დაკავებულობის მქონე სართულზე გვხვდება ჩიხური დერეფნები, რომელთა სიგრძე არ აღემატება 15 მ-ს, რაც აკმაყოფილებს 1018.4 ქვეთავის N2 გამონაკლისის მოთხოვნებს;

- ყველა კარის (რომელიც არის გასასვლელი საშუალების ნაწილი/კომპონენტი) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობას, ±0.00 ნიშნულზე, გააჩნია ერთი მთავარი შესასვლელი, რომელიც მისაწვდომია, შესაბამისად, დაკმაყოფილებულია, როგრც 1104.4 ქვეთავის, ასევე 1105.1 ქვეთავის მოთხოვნები;

- შენობის ყველა სართულს აკავშირებს ერთი ლიფტი, რომლის კაბინის ზომები არის მისაწვდომი და ე.ი საპროექტო შენობის ყველა სართულს გააჩნია მისაწვდომი სვლაგეზი, რაც აკმაყოფილებს 1104.4 ქვეთავის მოთხოვნებს;

- რაც შეეხება მისაწვდომ გასასვლელ საშუალებებს, რადგან საპროექტო შენობის ყველა სართულს ესაჭიროება ერთზე მეტი გასასვლელი (ეს ზემოთ აღვნიშნეთ), 1007.1 ქვეთავის მიხედვით, მისწვდომი გასასვლელი საშუალებაც ესაჭიროება მინიმუმ ორი. განვიხილოთ მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები სართულების მიხედვით: -3.70 ნიშნულზე მდებარე სართულის მისაწვდომ

გასასვლელ საშუალებებს წარმოადგენს „7-6“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე და ლიფტი, ±0.00 ნიშნულზე მდებარე სართულისას - „A“ ღერძზე („5-6“ მონაკვეთზე) მდებარე გზა-კარი და „E“ ღერძთან („6-5“ მონაკვეთზე) მდებარე გზა-კარი, ხოლო +3.60 და +7.20 ნიშნულებზე მდებარე სართულებისას - „7-6“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე, „5-6“ ღერძებს შორის მდებარე გარე გასასვლელის გზა-კიბე და ლიფტი. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე, სახელურებს შორის, 1.2 მ-ზე ნაკლებია და ამასთან არ გააჩნია თავშესაფრის ფართობები (მხოლოდ შიგა გასასვლელის გზა-კიბეა განიერი და გააჩნია იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნები, ოღონდ მხოლოდ მიწისზედა სართულებზე), ხოლო ლიფტს არ გააჩნია მისაწვდომი თავშესაფრის ფართობიდან, 1007.3 ქვეთავის N1 და N2 გამონაკლისის, აგრეთვე, 1007.4 ქვეთავის N2 გამონაკლისის მიხედვით, ეს გზა-კიბეებიც და ლიფტიც მაინც ითვლება მისწვდომ გასასვლელ საშუალებად, რადგან შენობა მთლიანად აღჭურვილია 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით;

შენიშვნა: მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

- საპროექტო შენობა უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტით, რომელიც +3.60 ნიშნულზე მდებარეობს. მისაწვდომი ტუალეტის ასეთი მდებარეობა დასაშვებია 1109.2.1.4 ქვეთავის მიხედვით;

- შემოზღუდულ ავტოსადგომში, გათვალისწინებულია ერთი ადგილი შშმ პირთათვის, რაც აკმაყოფილებს 1106.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების კომპონენტია, არის მისაწვდომი;

- ყველა სართულის გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც სწორად არის განსაზღვრული და აკმაყოფილებს 1104-ე ქვეთავის მოთხოვნებს

შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობის ყველა გარე კედელი არის ბეტონის ბლოკის ან გაძლიერებული ბეტონის და 721.1(1) და 721.1(2) ცხრილების თანახმად გააჩნია 2 სთ-ზე მეტი ცეცხლმედეგობა, თუმცა 602 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის მოთხოვნილი ხარისხი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით, 1 საათს არ აღემატება; გამონაკლისია გარკვეულ ღერძებს შორის მოქცეული გარე კედლები, რომელთა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 9 მეტრს აღემატება და შესაბამისად ამ კედლებს ხანძარმედეგობა საერთოდ არ მოეთხოვება (ცხრილი 602) და არც პროექტით არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება გარე კედლებში მოწყობილი ღიობების ფართობებს განვიხილოთ ისინი დეტალურად, კერძოდ:

- „A-F“, “10-1” და “F-B” ღერძებს შორის მოქცეულ გარე კედლებს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე (9.0 მეტრზე მეტი), 705.8 ცხრილის მიხედვით გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შეუზღუდავია. ასევე, ვინაიდან „B-A“ ღერძებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 6.0 მეტრზე მეტია და შენობა მთლიანადაა აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით აქაც არის შეუზღუდავი.

- რაც შეეხება „1-10“ ღერძებს შორის, მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი არის 5.38 მეტრი, ღიობების დასაშვები ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით უნდა იყოს 75%, პროექტის მიხედვით კი არის 13%.

  შენიშვნა №1: გარე კედლების ხანძარმედეგობა და კედლის ღიობების პროცენტულობა დეტალურად არის წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზის ცხრილში (გვ. 2 და 3).

  შენიშვნა №2: ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები გაზომილია კედლების ზედაპირიდან (მართი კუთხით) საკადასტრო საზღვრებამდე.

- ვინაიდან შენობა მთლიანადაა აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, 705.8.5 ქვეთავის №2 გამონაკლისის მიხედვით, მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში გამიჯვნის საჭიროება არ არის და შესაბამისად არც პროექტით არის გათვალისწინებული.

- გარე კედლებს არ გააჩნია პარაპეტი, რაც დასაშვებია 705.11 ქვეთავის N3 გამონაკლისის მიხედვით, რადგან სახურავი, ფენილის (ამ შემთხვევაში ფილის) და საყრდენი კონსტრუქციის ჩათვლით მთლიანად არაწვადი მასალებისგან (რკინაბეტონისგან) არის აგებული, რომელსაც, 721.1(1) ცხრილის თანახმად, გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

  შენიშვნა: ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კოსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

- 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (**I-B**) გამომდინარე სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუმცა პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებულია ხანძარმედეგობის უფრო მეტი ხარისხი.

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახურავი არ არის მოქცეული პარაპეტის საზღვრებში;

- სახურავზედა ნაგებობების (კიბის, ლიფტის, შახტების და სხვა ნაწილების) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთმესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

  შენიშვნა: სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს B კლასს, თანახმად 1505.1ა ცხრილისა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას).

  ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.

  შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

  სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- შენობის ყველა იატაკის კონსტრუქცია არის რკინაბეტონის და 721.1(1) ცხრილის მიხედვით გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც იმას ნიშნავს, რომ დაკავებულობების აუცილებელი თარაზული გამიჯვნის მოთხოვნები, რაც 508.4 ცხრილში საათების მიხედვითაა დადგენილი, დაცულია;

  რაც შეეხება შვეულ გამმიჯნავებს განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

- ვინაიდან საპროექტო შენობა არ არის მაღლივი და ამასთან, მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, სახანძრო ტუმბოს ოთახი (ყველა სხვა ფართობისგან) საკმარისია გაიმიჯნოს 1 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით, თუმცა პროექტით გათვალისწინებულია ცეცხლმედეგობის უფრო მეტი ხარისხი (2 საათი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძოდ, რადგან სახანძრო ტუმბოს ოთახის შემომზღუდავი კედლებისათვის საკმარისია 1 საათიანი ცეცხლმედეგობა, ერთ-ერთ ამ კედელში მოწყობილი კარის ანაწყობისთვისაც საკმარისია პროექტში მითითებული 45 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც შეესაბამება 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1022.2 ქვეთავის თანახმად, შიგა გასასვლელის გზა-კიბე დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავებით, ხოლო გზა-კიბესთან მისადგომი ღიობები, 716.5 ცხრილის თანახმად, დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით. ზემოხსენებულ გზა-კიბეს მიწისქვეშა სართულზე გააჩნია ვესტიბიული, რომელიც ასევე შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით, ხოლო ამ ზღუდეებში მდებარე ღიობები ასევე დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით;

- გარე გასასვლელის გზა-კიბე, ვინაიდან ეს გზა-კიბე აკავშირებს მხოლოდ სამ სართულს, 1026.6 და 1022.2 ქვეთავების შესაბამისად, შიგა სივრცისაგან უნდა

გაიმიჯნოს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით, რაც პროექტით გათვალისწინებულია (შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაცილებით მეტია), ხოლო გზა-კიბესთან მისადგომი ღიობები დაცულია 60 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობაში გათვალისწინებულია მხოლოდ ლიფტი, რომელსაც მხოლოდ მიწისქვეშა სართულზე გააჩნია ფოიე. აღნიშნული ფოიე შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით, თუმცა ვინაიდან, 713.14.1 ქვეთავის თანახმად, ლიფტის ფოიეები შესაძლოა შემოიზღუდოს 708-ე ქვეთავით განსაზღვრული 1 საათიანი ცეცხლმედეგი ტიხრებითაც, ამიტომ ამ შემომზღუდავებში, 716.5.3 ქვეთავის თანახმად, თავისუფლად შეიძლება დაყენდეს 20 წთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობები. მიუხედავად ამისა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით, ლიფტის ფოიეს კარის ცეცხლმედეგობის ხარისხად განსაზღვრულია მინიმუმ 30 წუთი, რაც პროექტით გათვალისწინებულია;

- შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი, რაც აკმაყოფილებს 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს. 716.5 ცხრილის თანახმად, ლიფტის კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 90 წუთი;

- რაც შეეხება დერეფნის კედლებს, მათ ცეცხლმედეგობის ხარისხი, 1018.1 ცხრილის მიხედვით, არ მოეთხოვება, რადგან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი გამმიჯნავები არ მოეთხოვება, აგრეთვე, ±0.00 ნიშნულზე მდებარე **თვ-3** და **სქ** ჯგუფის დაკავებულობებს, რადგან ფართობის მიხედვით **სქ** დაკავებულობა წარმოადგენს **თვ-3** დაკავებულობის დამხმარე დაკავებულობას (იხ. 508.2 ქვეთავი), ხოლო დამხმარე და მთავარი დაკავებულობების გამიჯვნა, 508.2.4 ქვეთავის მიხედვით, საჭირო არ არის.

შენიშვნა №1: ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.1 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი, რომელიც კვამლგაუმტარი ზღუდის კედელში არ მდებარეობს, NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №2: 716.5.3 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგი კარის ანაწყობები, რომელთაც 716.5 ცხრილში მოცემული ცეცხლმედეგობის ხარისხიანი დერეფნის კედლებში ან კვამლგამუტარი ზღუდეების კედლებში მდებარეობის შემთხვევაში მინიმუმ 20 წუთიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი სჭირდება (ამ კატეგორიაში შედის ლიფტის ფოიეს კარიც), NFPA 252-ის ან UL 10 C-ს და UL 1784-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს. კვამლგაუმტარი კარები NFPA 105-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №3: 716.5.2 ქვეთავის თანახმად, ლიფტის კარის ანაწყობები NFPA 252-ის ან UL 10B-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს.

შენიშვნა №4: საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით).

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, გარდა იმ ფართობებისა, სადაც „წესების“ მიხედვით განსაზღვრული არ არის;

  შენიშვნა: ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1 - 903.3.6 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

1) სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას (სახანძრო სიგნალიზაციას) და რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
2) სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც გათვალისწინებულია შემოზღუდულ ავტოსადგომში, საგამოფენო სივრცეებში, საოფისე ფართობებში და დაცვის ოთახში, აგრეთვე დერეფნებში;
3) კვამლის/ცეცხლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც განთავსებულია პრაქტიკულად ყველგან, კიბის უჯრედის, კიბის ვესტიბიულის და ლიფტის ფოიეს გარდა;

შენიშვნა: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- შენობის -3.70 ნიშნულზე განთავსებულია სახანძრო ავზების და ტუმბოს ოთახი;

შენიშვნა: სახანძრო ტუმბოებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს 913 ქვეთავის მოთხოვნები.

- მთლიან შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.

შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- გარე ხანძარქრობისათვის გათვალისწინებულია სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა.

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ:

- მიწისქვეშა სართულზე, ავტოსადგომის ნაწილში (**სწ-2**) და სახანძრო ტუმბოების და ავზის ოთახში (**დს**), წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების არსებობა, 1602.1 ცხრილის მიხედვით, საჭირო არ არის და არც პროექტით არის გათვალისწინებული.

- ზედა სართულებზე, დერეფნის სივრცეში გათვალისწინებულია ტუალეტები თითოეული სქესისთვის, ცალ-ცალკე მოწყობილობებით. შშმ პირთათვის მისაწვდომი ტუალეტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდებარეობს. +3.60 ნიშნულზე, რაც დასაშვებია 1109.2.1.4 ქვეთავის თანახმად, რადგან ისეთ სართულზე მდებარე ნებისმიერი სხვა ტუალეტიდან, რომელსაც მისაწვდომი ტუალეტი არ გააჩნია მისაწვდომ ტუალეტამდე მისასვლელი გზა არ აღემატება 150 მ-ს;

- სამივე სართულზე გათვალისწინებულია დამხმარე სათავსო სადაც მოწყობილია სამომსახურო ნიჟარა.

- სამივე სართული უზრუნველყოფილია სასმელი წყლის აპარატებით, რაც თავისთავად ასრულებს ცხრილის მიხედვით განსაზღვრული წყლის დასალევი შადრევნის ფუნქციას;

  შენიშვნა: წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა დეტალურად არის ასახული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი“-ს ცხრილში (გვ. 7).

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12. ლიფტის შეფასება:

- შენობაში არის 1 ლიფტი, რომელსაც მხოლოდ მიწისქვეშა სართულზე გააჩნია შემოზღუდული, დაწნევადი ფოიე. (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი). 713.14.1 ქვეთავის N4 გამონაკლისის თანახმად, ლიფტს მიწისზედა სართულებზე ფოიეები არ გააჩნია და არც ლიფტის შახტაა დაწნევადი, რადგან შენობა არ არის მაღლივი და მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ლიფტი წარმოადგენს აუცილებელ მისაწვდომ გასასვლელ საშუალებას;

- 1704.1 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, ლიფტის შახტის თავში საჰაერო ღიობი გათვალისწინებული არ არის, რადგან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და არ გააჩნია ღამის გასათევი ადგილები;

- ვინაიდან საპროექტო შენობა არც მიწის ზემოთ და არც მიწის ქვემოთ ოთხზე მეტსართულიანი არ არის, 1702.4 ქვეთავის თანახმად, ლიფტის კაბინაში საკაცის შეტანის აუცილებლობა არ არის და შესაბამისად არც ლიფტის კაბინის გაბარიტებია ამაზე გათვლილი;

შენიშვნა №1: ლიფტი უნდა მოეწყოს მე-17 თავის მოთხოვნათა დაცვით.

შენიშვნა №2 : მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

ლიფტებთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

13. ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასება:

- -3.70 ნიშნულზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟთან მიდგომა, ხდება ერთი ცალმხრივი შესასვლელ/გასასვლელიანი საავტომობილო პანდუსის მეშვეობით, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.7 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნებს, რადგან ავტოსადგომის ადგილების რაოდენობა 50-ზე ნაკლებია;

- ზემოაღნიშნული საავტომობილო პანდუსის ქანობის პროცენტულობა არ აღემატება 10%-ს, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს;

- საავტომობილო პანდუსის სიგანე არის 3.80 მ, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- საავტომობილო პანდუსის მოხვევის შიგა რადიუსი არის 4.5 მეტრზე მეტი, რაც შესაბამისობაშია 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნებთან;

- ავტომობილთათვის განკუთვნილი ადგილის ზომები სრულ შესაბამისობაშია 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებთან;

- დაცულია, აგრეთვე, 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნები ავტოსადგომების ზომების, განლაგების და გასავლელების მიმართ;

- 406.6.2 ქვეთავის თანახმად, შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების/კვამლის მექანიკური გაწოვის სისტემით (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი).
- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შშმ პირთათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა (1 ადგილი) აკმაყოფილებს 1106.1 ცხრილის მოთხოვნებს.

<u>ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

დ ა ს კ ვ ნ ა:

ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.02.003.400) დაპროექტებული საგამოფენო დარბაზის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად

გაფრთხილება!

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. კონსტუქციული(სტრუქტურული) პროექტის დამუშავებისას დაცულ უნდა იქნას პროექტში მითითებული ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის 721-ე ქვეთავის მიხედვით.
3. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები
- ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად
- სახანძრო განგაშის სისტემები
- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები)

4. ყველა ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი უნდა აკმაყოფილებდეს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს;

5. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე;
6. უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

ექსპერტი:  ირაკლი კვარაცხელია

ექსპერტის მონაცემები

სახელი, გვარი: ირაკლი კვარაცხელია

დაბადების თარიღი და ადგილი: 23 ივნისი 1973 წელი, ქ. თბილისი

მისამართი: ქ. თბილისი, ჯანაშვილის ქ 5-7, ტ: 597 228 560

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესია: არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი: 18 წელი

პროფესიული გამოცდილება: 1998 – 2008 წწ. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური (მთ. სპეციალისტი, შემდგომ განყოფილების უფროსი)

2008 –2010 წწ. შპს “საამშენებლო კომპანია პლანეტა” (არქიტექტორი)

2010 – 2017 წწ შ.პ.ს “თბილქალაქპროექტი" (არქიტექტორი, შემდგომ დირექტორი დღემდე)

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-007

გადაეცემა

ირაკლი კვარაცხელიას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

სარეგისტრაციო № 4216

საქართველო

დიპლომი

უა № 003165

მიეცა არჩილი ალექსანდრეს ძე ქვარაცხელიას

მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის „17" ივლისის გადაწყვეტილებით ი.ა. ქვარაცხელიას მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი [signature]

მდივანი [signature]

ქალაქი თბილისი 29 VII 1996 წ.

МПФ Гознака. 1996.